



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 159

ქ. ბათუმი  
01 ნოემბერი 2013 წ.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის,  
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე  
პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს - სააგენტოს - ადმინისტრაციული დეპარტამენტის - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - თეონა ხაბეიშვილი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ-„საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს-ს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 17 ივნისის №023-ე ბრძანება.
3. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაზა მახარაძე  
დირექტორის პირველი მოადგილე  
დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი